მინდობილობა/რწმუნებულება

ა.ა.ი.პ „მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია“ (ს/კ 205046458) **(შემდგომში „მარწმუნებელი“)** წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ნელი სალაძის (პ/ნ 01008003710) სახით (შემდგომში „მარწმუნებელი“), თავისუფალი ნების გამოვლების საფუძველზე, აძლევს წინამდებარე მინდობილობას **სალომე ურუშაძეს** (პ/ნ 01008035491), **(შემდგომში „რწმუნებული“)** და ანიჭებს მას ქვემოთ ასახულ შემდეგ უფლებამოსილებებს:

1. რწმუნებული უფლებამოსილია დაიცვას მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები, ამ მიზნით წარმოადგინოს მარწმუნებელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან და მესამე პირებთან ურთიერთობებში, მათ შორის: იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შემავალ ნებისმიერ სსიპ-ში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და მასში შემავალ ნებისმიერ სსიპ-ში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მასში შემავალ ნებისმიერ სსიპ-ში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტსა და საკრებულოში, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მასში შემავალ ნებისმიერ სსიპ-ში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში და მათ სსიპ-ებში, ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში, მედიაციაში და სააღსრულებო ბიუროში, ასევე ნებისმიერ სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, რომელიც მითითებული არ არის წინამდებარე მინდობილობაში, სადაც რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან აწარმოონ შესაბამისი საქმეები ნებისმიერ ადგილსამყოფელზე, ადმინისტრაციული ან/და სააღსრულებო საქმე.
2. რწმუნებული უფლებამოსილია დაიცვას მარწმუნებლის და მისი კლიენტების ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მასში შემავალ სსიპ-ებში (მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ არქიტექტურის სამსახურშიც) და მარწმუნებლის სახელით წარადგინოს, დაწეროს, გამოითხოვოს, ჩააბაროს ან/და მიიღოს/ჩაიბაროს ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია, შეიტანოს განცხადება, წერილი, მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა ის აუცილებელი მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისათვის.
3. რწმუნებულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის ვადით.

<u>მარწმუნებელი:</u>
ა.ა.ი.პ „მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია“
(ს/კ 205046458)
ელ. ფოსტა: nelisaladzerg@gmail.com
ნელი სალაძე
პრეზიდენტი

/_____/
28.აპრილი.2023